



მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №21
2016 წლის 23 დეკემბერი
ქ. მარტვილი

მარტვილის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

საქართველოსორგანულიკანონის „ადგილობრივითმმართველობისკოდექსი“ 24-ემუხლის 1-ლიპუნქტის„დ.ა“ ქვეპუნქტის, „საქართველოსსაბიუჯეტოკოდექსის“ 78-ემუხლისდა „ნორმატიულიაქტების შესახებ“ საქართველოსკანონისმე-20 მუხლისადა 25-ემუხლის 1-ლიპუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

ა) განისაზღვროს:

ა.ა) შემოსულობები6705.7 ათასი ლარით;

ა.ბ) გადასახდელები 6705.7ათასი ლარი;

ა.გ) სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადმოსაცემი ტრანსფერი 5051.7 ათასი ლარი, აქედან:

ა.გ.ა)გათანაბრებითი ტრანსფერი 4896.7 ათასი ლარი;

ა.გ.ბ) მიზნობრივი ტრანსფერი155.0 ათასი ლარი;

ა.დ) სარეზერვო ფონდი40.0 ათასი ლარი.

მუხლი 2.

ამ დადგენილების პირველი მუხლის გათვალისწინებით, დადგენილების დანართი (მარტვილის მუნიციპალიტეტის 2017 წლისბიუჯეტი) ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 3.

ამ დადგენილების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მარტვილის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №41 დადგენილება.

მუხლი 4.

დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალექსი გაბისონია

მარტვილის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი

თავი I

მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის გეგმა | | | 2017 წლის პროექტი | | |
|---------------------------------|-----------------|-----------------|---|----------------------|-------------------|---|----------------------|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსავლები | 10,732.1 | 10,308.3 | 3,802.3 | 6,506.0 | 6,625.7 | 0.0 | 6,625.7 |
| გადასახადები | 219.9 | 950.5 | 0.0 | 950.5 | 1,180.0 | 0.0 | 1,180.0 |
| გრანტები | 10,036.5 | 9,029.8 | 3,802.3 | 5,227.5 | 5,051.7 | 0.0 | 5,051.7 |
| სხვა შემოსავლები | 475.7 | 328.0 | 0.0 | 328.0 | 394.0 | 0.0 | 394.0 |
| ხარჯები | 5,386.8 | 6,125.3 | 17.2 | 6,108.1 | 5,520.4 | 0.0 | 5,520.4 |
| შრომის ანაზღაურება | 1,625.8 | 1,813.6 | 0.0 | 1,813.6 | 1,666.8 | 0.0 | 1,666.8 |
| საქონელი და მომსახურება | 669.6 | 900.3 | 5.9 | 894.4 | 757.8 | 0.0 | 757.8 |
| პროცენტი | 0.0 | 58.5 | 0.0 | 58.5 | 94.8 | 0.0 | 94.8 |
| სუბსიდიები | 2,032.2 | 2,225.8 | 0.0 | 2,225.8 | 2,308.0 | 0.0 | 2,308.0 |
| გრანტები | 213.2 | 5.0 | 0.0 | 5.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 628.4 | 626.3 | 0.0 | 626.3 | 595.0 | 0.0 | 595.0 |
| სხვა ხარჯები | 217.6 | 495.8 | 11.3 | 484.5 | 98.0 | 0.0 | 98.0 |
| საოპერაციო საღებავი | 5,345.3 | 4,183.0 | 3,785.1 | 397.9 | 1,105.3 | 0.0 | 1,105.3 |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 4,957.1 | 5,528.9 | 4,329.2 | 1,199.7 | 1,036.0 | 0.0 | 1,036.0 |
| ზრდა | 4,973.4 | 5,578.9 | 4,329.2 | 1,249.7 | 1,116.0 | 0.0 | 1,116.0 |
| კლება | 16.3 | 50.0 | 0.0 | 50.0 | 80.0 | 0.0 | 80.0 |
| ზრდა | 387.8 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 387.8 | 0.0 | | | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| კლება | 0.0 | 1,354.1 | 544.1 | 810.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 0.0 | 1,354.1 | 544.1 | 810.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| კლება | 0.5 | 8.2 | 0.0 | 8.2 | 69.3 | 0.0 | 69.3 |
| საშინაო | 0.5 | 8.2 | 0.0 | 8.2 | 69.3 | 0.0 | 69.3 |

მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით.

| დასახელება | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის გეგმა | | | 2017 წლის პროექტი | | |
|---|-----------------|-----------------|---|----------------------|-------------------|---|----------------------|
| | | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი | საკუთარი შემოსავლები | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსულობები | 10748.4 | 10358.3 | 3802.3 | 6556.0 | 6705.7 | 0.0 | 6705.7 |
| შემოსავლები | 10732.1 | 10308.3 | 3802.3 | 6506.0 | 6625.7 | 0.0 | 6625.7 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 16.3 | 50.0 | 0.0 | 50.00 | 80.0 | 0.0 | 80.0 |
| ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით) | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ვალდებულებების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| გადასახდელები | 10360.6 | 11712.4 | 4346.4 | 7366.0 | 6705.7 | 0.0 | 6705.7 |
| ხარჯები | 5386.8 | 6125.3 | 17.2 | 6108.1 | 5520.4 | 0.0 | 5520.4 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 4973.4 | 5578.9 | 4329.2 | 1249.7 | 1116.0 | 0.0 | 1116.0 |
| ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით) | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ვალდებულებების კლება | 0.5 | 8.2 | 0.0 | 8.2 | 69.3 | 0.0 | 69.3 |
| ნაშთის ცვლილება | 387.766 | -1354.1 | -544.1 | -810.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |

მუხლი 3. მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 6625.7 ათასი ლარის ოდენობით.

| დასახელება | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის გეგმა | | | 2017 წლის პროექტი | | |
|------------------|-----------------|-----------------|---|----------------------|-------------------|---|----------------------|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსავლები | 9,730.1 | 10,308.3 | 3,802.3 | 6,506.0 | 6,625.7 | 0.0 | 6,625.7 |
| გადასახადები | 209.8 | 950.5 | 0.0 | 950.5 | 1,180.0 | 0.0 | 1,180.0 |
| გრანტები | 9,107.3 | 9,029.8 | 3,802.3 | 5,227.5 | 5,051.7 | 0.0 | 5,051.7 |
| სხვა შემოსავლები | 413.1 | 328.0 | 0.0 | 328.0 | 394.0 | 0.0 | 394.0 |

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვროს 1180.0 ათ. ლარის ოდენობით.

| დასახელება | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის გეგმა | | | 2017 წლის პროექტი | | |
|------------|-----------------|-----------------|---|--|-------------------|---|----------------------|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |

| დასახელება | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის გეგმა | | | 2017 წლის პროექტი | | |
|---|-----------------|-----------------|---|-------|-------------------|---|----------------------|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| გადასახადები | 219.9 | 950.5 | 0.0 | 950.5 | 1,180.0 | 0.0 | 1,180.0 |
| საშემოსავლო გადასახადი | 0.0 | 750.0 | 0.0 | 750.0 | 800.0 | 0.0 | 800.0 |
| ქონების გადასახადი | 220.0 | 200.5 | 0.0 | 200.5 | 380.0 | 0.0 | 380.0 |
| საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 45.8 | 70.5 | 0.0 | 70.5 | 138.0 | 0.0 | 138.0 |
| ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 2.6 | 2.0 | 0.0 | 2.0 | 2.0 | 0.0 | 2.0 |
| ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე | 1.5 | 2.0 | 0.0 | 2.0 | 2.0 | 0.0 | 2.0 |
| არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე | 1.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 106.0 | 75.0 | 0.0 | 75.0 | 200.0 | 0.0 | 200.0 |
| ფიზიკურ პირებიდან | 51.4 | 45.0 | 0.0 | 45.0 | 35.0 | 0.0 | 35.0 |
| იურიდიულ პირებიდან | 54.6 | 30.0 | 0.0 | 30.0 | 165.0 | 0.0 | 165.0 |
| არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 65.6 | 53.0 | 0.0 | 53.0 | 40.0 | 0.0 | 40.0 |
| ფიზიკურ პირებიდან | 17.7 | 25.0 | 0.0 | 25.0 | 10.0 | 0.0 | 10.0 |
| იურიდიულ პირებიდან | 47.9 | 28.0 | 0.0 | 28.0 | 30.0 | 0.0 | 30.0 |
| სხვა გადასახადები | -0.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 5051.7 ათ. ლარის ოდენობით.

| დასახელება | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის გეგმა | | | 2017 წლის პროექტი | | |
|--|-----------------|-----------------|---|---------|-------------------|---|----------------------|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| გრანტები | 10,036.5 | 9,029.8 | 3,802.3 | 5,227.5 | 5,051.7 | 0.0 | 5,051.7 |
| სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი | 10,036.5 | 9,029.8 | 3,802.3 | 5,227.5 | 5,051.7 | 0.0 | 5,051.7 |

| დასახელება | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის გეგმა | | | 2017 წლის პროექტი | | |
|---|-----------------|-----------------|---|---------|-------------------|---|----------------------|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები | 5,476.7 | 5,227.5 | 0.0 | 5,227.5 | 5,051.7 | 0.0 | 5,051.7 |
| გათანაბრებითი ტრანსფერი | 5,322.5 | 0.0 | 0.0 | 5,064.5 | 4,896.7 | | 4,896.7 |
| მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად | 154.2 | 163.0 | 0.0 | 163.0 | 155.0 | 0.0 | 155.0 |
| ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 4,559.8 | 3,802.3 | 3,802.3 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| სულ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი | 3,411.1 | 2,817.1 | 2,817.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 1,148.7 | 985.3 | 985.3 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 394.0 ათ. ლარის ოდენობით.

| დასახელება | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის გეგმა | | | 2017 წლის პროექტი | | |
|---|-----------------|-----------------|---|-------|-------------------|---|----------------------|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| სხვა შემოსავლები | 475.7 | 328.0 | 0.0 | 328.0 | 394.0 | 0.0 | 394.0 |
| შემოსავლები საკუთრებიდან | 289.5 | 253.0 | 0.0 | 253.0 | 325.0 | 0.0 | 325.0 |
| პროცენტები | 74.2 | 50.0 | 0.0 | 50.0 | 50.0 | 0.0 | 50.0 |
| რენტა | 215.3 | 203.0 | 0.0 | 203.0 | 275.0 | 0.0 | 275.0 |
| მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის | 208.8 | 200.0 | 0.0 | 200.0 | 265.0 | 0.0 | 265.0 |
| შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან | 6.6 | 3.0 | | 3.0 | 10.0 | | 10.0 |
| საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია | 35.6 | 25.0 | 0.0 | 25.0 | 19.0 | 0.0 | 19.0 |

| დასახელება | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის გეგმა | | | 2017 წლის პროექტი | | |
|--|-----------------|-----------------|---|------|-------------------|---|----------------------|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები | 31.3 | 20.0 | 0.0 | 20.0 | 14.0 | 0.0 | 14.0 |
| სანებართვო მოსაკრებელი | 19.4 | 10.0 | | 10.0 | 4.0 | | 4.0 |
| საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი | 0.1 | 0.0 | | 0.0 | 0.0 | | 0.0 |
| ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის | 11.8 | 10.0 | | 10.0 | 10.0 | | 10.0 |
| არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება | 4.3 | 5.0 | 0.0 | 5.0 | 5.0 | 0.0 | 5.0 |
| შემოსავლები მომსახურების გაწევიდან | 4.3 | 5.0 | | 5.0 | 5.0 | | 5.0 |
| ჯარიმები, სანქციები და საურავები | 143.2 | 50.0 | | 50.0 | 50.0 | | 50.0 |
| შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები | 7.3 | 0.0 | | 0.0 | 0.0 | | 0.0 |

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 5520.4 ათ. ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით.

| დასახელება | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის გეგმა | | | 2017 წლის პროექტი | | |
|-------------------------|-----------------|-----------------|---|----------------------|-------------------|---|----------------------|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| ხარჯები | 5,386.8 | 6,125.3 | 17.2 | 6,108.1 | 5,520.4 | 0.0 | 5,520.4 |
| შრომის ანაზღაურება | 1,625.8 | 1,813.6 | 0.0 | 1,813.6 | 1,666.8 | 0.0 | 1,666.8 |
| საქონელი და მომსახურება | 669.6 | 900.3 | 5.9 | 894.4 | 757.8 | 0.0 | 757.8 |
| პროცენტი | 0.0 | 58.5 | 0.0 | 58.5 | 94.8 | 0.0 | 94.8 |
| სუბსიდიები | 2,032.2 | 2,225.8 | 0.0 | 2,225.8 | 2,308.0 | 0.0 | 2,308.0 |
| გრანტები | 213.2 | 5.0 | 0.0 | 5.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 628.4 | 626.3 | 0.0 | 626.3 | 595.0 | 0.0 | 595.0 |
| სხვა ხარჯები | 217.6 | 495.8 | 11.3 | 484.5 | 98.0 | 0.0 | 98.0 |

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 1036.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 1116.0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

| ორგანიზაციული კოდი | დასახელება | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის გეგმა | | | 2017 წლის პროექტი | | |
|--------------------|---|-----------------|-----------------|---|----------------------|-------------------|---|----------------------|
| | | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| 01 00 | წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება | 81.1 | 196.3 | 0,0 | 196.3 | 26.2 | 0,0 | 26.2 |
| 02 00 | თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | 1.6 | 0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 03 00 | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 4854.2 | 5299.357 | 4329.157 | 970.2 | 1089.8 | 0,0 | 1089.8 |
| 04 00 | განათლება | 0,0 | 7.6 | 0,0 | 7.6 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 05 00 | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები | 36.5 | 73,00 | 0,0 | 73,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 06 00 | მოსახლეობის სოციალური დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 0,0 | 2,6 | 0 | 2,6 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | სულ | 4973.4 | 5578.9 | 4329.2 | 1249.7 | 1116.0 | 0,0 | 1116.0 |

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 80.0 ათ. ლარის ოდენობით.

| დასახელება | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის გეგმა | | | 2017 წლის პროექტი | | |
|------------------------------|-----------------|-----------------|---|------|-------------------|---|----------------------|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| არაფინანსური აქტივების კლება | 16.3 | 50.0 | 0.0 | 50.0 | 80.0 | 0.0 | 80.0 |
| ძირითადი აქტივები | 0.1 | 50.0 | 0.0 | 50.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| არაწარმოებული აქტივები | 16.2 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 80.0 | 0.0 | 80.0 |
| მიწა | 16.2 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 80.0 | 0.0 | 80.0 |

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის

ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

| ფუნქციონალური კოდი | დასახელება | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის გეგმა | | | 2017 წლის პროექტი | | |
|--------------------|---|-----------------|-----------------|---|----------------------|-------------------|---|----------------------|
| | | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| 701 | საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება | 2,153.7 | 2,913.7 | 0.0 | 2,913.7 | 2,208.1 | 0.0 | 2,208.1 |
| 7011 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები | 2,153.7 | 2,912.7 | 0.0 | 2,912.7 | 2,207.1 | 0.0 | 2,207.1 |
| 70111 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა | 2,153.7 | 2,912.7 | 0.0 | 2,912.7 | 2,167.1 | 0.0 | 2,167.1 |
| 70112 | ფინანსური და ფისკალური საქმიანობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 40.0 | 0.0 | 40.0 |
| 7016 | ვალთან დაკავშირებული ოპერაციები | 0.0 | 1.0 | 0.0 | 1.0 | 1.0 | 0.0 | 1.0 |
| 702 | თავდაცვა | 61.4 | 82.6 | 0.0 | 82.6 | 67.7 | 0.0 | 67.7 |
| 703 | საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | 221.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 7032 | ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა | 221.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 704 | ეკონომიკური საქმიანობა | 3,497.8 | 3,864.6 | 3,257.1 | 607.5 | 813.4 | 0.0 | 813.4 |
| 7045 | ტრანსპორტი | 2,584.1 | 2,666.6 | 2,450.1 | 216.5 | 107.8 | 0.0 | 107.8 |
| 70451 | საავტომობილო ტრანსპორტი და გზები | 2,584.1 | 2,666.6 | 2,450.1 | 216.5 | 107.8 | 0.0 | 107.8 |
| 7049 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში | 913.7 | 1,198.0 | 807.0 | 391.0 | 705.6 | 0.0 | 705.6 |
| 705 | გარემოს დაცვა | 366.1 | 490.9 | 0.0 | 490.9 | 509.6 | 0.0 | 509.6 |
| 7051 | ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება | 353.7 | 388.6 | 0.0 | 388.6 | 420.0 | 0.0 | 420.0 |
| 7052 | ჩამდინარე წყლების მართვა | 12.4 | 102.3 | 0.0 | 102.3 | 89.6 | 0.0 | 89.6 |
| 706 | საბინაო-კომუნალური მეურნეობა | 1,612.0 | 1,618.2 | 1,089.3 | 528.9 | 452.6 | 0.0 | 452.6 |
| 7061 | ბინათმშენებლობა | 321.1 | 294.5 | 0.0 | 294.5 | 251.6 | 0.0 | 251.6 |
| 7063 | წყალმომარაგება | 8.9 | 23.0 | 0.0 | 23.0 | 29.0 | 0.0 | 29.0 |

| ფუნქციონალური კოდი | დასახელება | 2015 წლის ფაქტი | 2016 წლის გეგმა | | | 2017 წლის პროექტი | | |
|--------------------|--|-----------------|-----------------|---|----------------------|-------------------|---|----------------------|
| | | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| 7064 | გარე განათება | 136.7 | 188.1 | 0.0 | 188.1 | 170.0 | 0.0 | 170.0 |
| 7066 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში | 1,145.4 | 1,112.6 | 1,089.3 | 23.3 | 2.0 | 0.0 | 2.0 |
| 707 | ჯანმრთელობის დაცვა | 335.6 | 383.1 | 0.0 | 383.1 | 325.0 | 0.0 | 325.0 |
| 7074 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 80.0 | 85.0 | 0.0 | 85.0 | 85.0 | 0.0 | 85.0 |
| 7076 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში | 255.6 | 298.1 | 0.0 | 298.1 | 240.0 | 0.0 | 240.0 |
| 708 | დასვენება, კულტურა და რელიგია | 1,078.1 | 1,161.0 | 0.0 | 1,161.0 | 1,030.0 | 0.0 | 1,030.0 |
| 7081 | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში | 411.5 | 470.8 | 0.0 | 470.8 | 425.0 | 0.0 | 425.0 |
| 7082 | მომსახურება კულტურის სფეროში | 493.6 | 567.2 | 0.0 | 567.2 | 489.0 | 0.0 | 489.0 |
| 7083 | ტელერადიომუწეობა და საგამომცემლო საქმიანობა | 9.3 | 16.7 | 0.0 | 16.7 | 18.0 | 0.0 | 18.0 |
| 7084 | რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა | 74.7 | 70.0 | 0.0 | 70.0 | 70.0 | 0.0 | 70.0 |
| 7086 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში | 89.1 | 36.3 | 0.0 | 36.3 | 28.0 | 0.0 | 28.0 |
| 709 | განათლება | 599.9 | 797.0 | 0.0 | 797.0 | 880.0 | 0.0 | 880.0 |
| 7091 | სკოლამდელი აღზრდა | 570.0 | 792.0 | 0.0 | 792.0 | 850.0 | 0.0 | 850.0 |
| 7092 | ზოგადი განათლება | 11.6 | 5.0 | 0.0 | 5.0 | 10.0 | 0.0 | 10.0 |
| 70923 | საშუალო ზოგადი განათლება | 11.6 | 5.0 | 0.0 | 5.0 | 10.0 | 0.0 | 10.0 |
| 7098 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში | 18.4 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 20.0 | 0.0 | 20.0 |
| 710 | სოციალური დაცვა | 434.3 | 393.1 | 0.0 | 393.1 | 350.0 | 0.0 | 350.0 |
| 7104 | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | 177.5 | 199.1 | 0.0 | 199.1 | 182.0 | 0.0 | 182.0 |
| 7109 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში | 256.8 | 194.0 | 0.0 | 194.0 | 168.0 | 0.0 | 168.0 |
| | სულ | 10,360.1 | 11,704.2 | 4,346.4 | 7,357.8 | 6,636.4 | 0.0 | 6,636.4 |

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 69.3 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება 0.0 ათასი ლარის ოდენობით.

2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 0.0 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება - 69.3 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 40.0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის გამგებლის გადაწყვეტილებების შესაბამისად.

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 155.0 ათასი ლარი მიიძღვრება:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 67.7 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 73.0 ათასი ლარი;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 1.3 ათასი ლარი;

დ) „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის 1.0 ათასი ლარი.

2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 16. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მარტვილის მუნიციპალიტეტში 2015-2016 წლებში ბიუჯეტის სწორად დაგეგმვამ შემოსავლების გეგმიური მაჩვენებლების შესრულებამ და ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერების მიზნობრივად მიმართვამ მნიშვნელოვნად გაუმჯობესა ინფრასტრუქტურა. შესაძლებელი გახდა ახალი გზების, ხიდ-ბოგირების მშენებლობა, წყლის სისტემების სათაო ნაგებობების მოწყობა და შიდა ქსელების რეზილიტაცია, გარე განათების ახალი სისტემების მოწყობა რითაც გაუმჯობესდა მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ ეკონომიური მდგომარეობა შეიქმნა ახალი სამუშაო ადგილები, შესაძლებელი გახდა კულტურის, დასვენებისა და სპორტის ახალი ობიექტების ექსპლოატაციაში შესვლა და შესაბამისად ამ სფეროების განვითარება. მარტვილის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მიერ ბოლო წლების განმავლობაში არ ჩეულს ტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე ხარჯების ზრდამ შესაძლებელი გახდა და ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით დაიწყო განხორციელება პროგრამები ჯანდაცვის, კულტურის, სპორტისა და სახელოვნებოს სფეროებში, მნიშვნელოვნად გაიზარდა სკოლამდელი დაწესებულებების დაფინანსება და გაუმჯობესდა ბავშვთა აღზრდის პირობები.

2017-2020

წლებში მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას, კულტურის, სპორტისა და დასვენების სფეროების განვითარებას.

მარტვილის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- საინვესტიციო გარემოსა და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- სკოლამდელი განათლებისადმი და საჯარო სკოლების მოსწავლეთა სკოლის გარეშე აქტივობების მხარდაჭერა. ხელმისაწვდომობის გაზრდა და ხარისხის ამაღლება;
- კულტურისა და სპორტის განვითარება, რელიგიური რწმენის თავისუფლება და ახალგაზრდობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

2015-2016 წლების მოკლე მიმოხილვა

2015 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით, როგორც საშემოსავლო ასევე გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 6000.0 ათ. ლარის ოდენობით, მ.შ ადგილობრივი შემოსავლებია 553,0 ათ. ლარი. გათანაბრებითი ტრანსფერია 5322.5 ათ. ლარი, მიზნობრივი ტრანსფერია დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 163,0 ათ. ლარი, ხოლო 1004.8 ათ. ლარი არის 2014 წლის გარდამავალი ნაშთი. დაზუსტებული ბიუჯეტის გეგმა შეადგენს 11708,5 ათ. ლარს, ფაქტიურად გაიზარდა 10360,6 ათ. ლარი. 2015 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოიყო 3443,7 ათ. ლარი, ფაქტიურად ჩამორიცხულია 3411,1 ათ. ლარი მ.შ 20 იანვრის N39

განკარგულებით, დიდიჭყონი-ლედგებე-გურძემი-კიწია-ნოლას დამაკავშირებელი გზის (მე-2 ეტაპის) სამუშაოებისათვის 1364,6 ათ. ლარი; სოფ.სალხინოსა და წაჩხურას უბნის დამაკავშირებელი გზის ა/ბეტონის საფარით რეაბილიტაციისათვის 959,2 ათ. ლარი და მარტვილის მუნიციპალიტეტის ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის სამუსიკო სკოლის შენობის რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვისათვის 2.0 ათ.ლარი, 18 მაისის N994 განკარგულებით მარტვილის მუნიციპალიტეტის ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის სამუსიკო სკოლის შენობის რეაბილიტაციისათვის 56,2 ათ. ლარი. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 მარტის N506 განკარგულებით სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსახორციელებელი სამუშაოებისათვის 1148,7 ათ. ლარი, 29 ივნისის N1381 განკარგულებით სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისათვის 498,8 ათ. ლარი, N2284 განკარგულებით სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისათვის 56,6 ათ. ლარი, N2419 განკარგულებით ქ.მარტვილში საელიაოს უბანში არსებულ დედათამონასტერთან მისასვლელი გზის რეაბილიტაციისათვის 300, ათ. ლარი. N2529 განკარგულებით სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებისათვის 152,9 ათ. ლარი. გარდამავალი ნაშთი 2016 წლის პირველი იანვრისათვის შეადგენს 1354,1 ათ. ლარს.

2016 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით, როგორც საშემოსავლო ასევე გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 6556.0 ათ. ლარის ოდენობით მ.შ ადგილობრივი შემოსავლებია 1328.5 ათ. ლარი, გათანაბრებითი ტრანსფერია 5064.5 ათ. ლარი, მიზნობრივი ტრანსფერია დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 163,0 ათ. ლარი, ხოლო 1354.1 ათ. ლარი არის 2015 წლის გარდამავალი ნაშთი. დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსავლები 30 სექტემბრის მდგომარეობით შეადგენს 9867,0 ათ. ლარს. 2016 წლის 4 თებერვლის N175 განკარგულებით რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილია 2375.8 ათ. ლარი, დიდი ჭყონი-ლედგებე-გურძემი-კიწია-ნოლას დამაკავშირებელი გზის (მე-3 ეტაპის) სამუშაოებისათვის 586.6 ათ. ლარი; სოფ.სალხინოსა და წაჩხურას უბნის დამაკავშირებელი გზის ა/ბეტონის საფარით რეაბილიტაციის (მე-2 ეტაპის) სამუშაოებისათვის 460.8 ათ. ლარი, საელიავოს უბანში დადიანის ქუჩაზე არსებულ დედათა მონასტერში მისასვლელი საავტომობილო გზის ა/ბეტონის საფარით მოწყობა (მე-2 ეტაპი) 114.0 ათ. ლარი, სოფ. ნაგვაზაოსა და სოფ. ხუნწის დამაკავშირებელი გზის ა/ბეტონის საფარით მოწყობა 377.7 ათ. ლარი, სოფ. ნაგვაზაოსა და სოფ. ხუნწის დამაკავშირებელი ხიდის მოწყობა მდ. ნოღელაზე 199.5 ათ. ლარი, ქ. მარტვილში წოწორიას ქუჩისა და ქვაითის უბნის დამაკავშირებელი გზის ა/ბეტონის საფარით მოწყობა 214.7 ათ. ლარი, მარტვილის მუნიციპალიტეტში მდ. აბაშის კანიონის ინფრასტრუქტურის (ავტოსადგომის) მოწყობის სამუშაოები 422,5 ათ. ლარი; 2016 წლის 19 თებერვლის N265 განკარგულებით სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილია 985.3 ათ. ლარი.

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

მარტვილის მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების, აგრეთვე საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების დაცვა ხორციელდება შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ.

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის მარტვილის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა შერჩევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

1.1 ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის მარტვილის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელების შერჩევა და გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტია. ამ პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების, დასასვენებელი პარკების და მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა, გაზომომარაგებისა და წყალმომარაგების სამუშაოები, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

2.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (გზები და ხოდები პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება და შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია.

2.1.1 გზების მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (პროგრამული კოდი 03 01 01) პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება და შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია. მარტვილის მუნიციპალიტეტის შიდა გზები დაახლოებით 1000-კმ. აჭარბებს აქედნ გამომდინარე შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციასა მოწყობის საკითხი მუნიციპალიტეტისთვის ერთერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს.

2.1.2 ხიდ-ბოგირები მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (პროგრამული კოდი 03 01 02) პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ხიდ-ბოგირების მდგომარეობის შენარჩუნება და მუნიციპალიტეტის სოფლებში ხიდ-ბოგირების რეაბილიტაცია. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში როგორც „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ ასევე ადგილობრივი ბიუჯეტით და სტიქიის კუთხით გამოყოფილი თანხებით უამრავი ხიდისა და ბოგირების რეაბილიტაცია მოხდა, მაინც არის ობიექტები რომელთა რეაბილიტაციაც აუცილებელია.

2.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობა, გარე განათების ქსელის გაფართოება, წყალსადენის ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები, არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა, ახალი ხეების დარგვა და გამწვანების ზოლებში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება, არსებული შადრევნების ექსპლოატაცია და საჭიროების შემთხვევაში მათი რეაბილიტაცია.

2.2.1 შენობების და სახურავების რეაბილიტაცია, რეკონსტრუქცია (პროგრამული კოდი 03 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში საბავშვო ბაღების შენობების რეაბილიტაცია. საცხოვრებელი კორპუსის გადახურვა და საკრებულოს შენობის ფოიეს მოწყობა.

2.2.2 გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 02)

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია,

რეაბილიტირებულ გზებზე და შიდა კვარტალურ ეზოებში ახალი წერტილების მოწყობა. ქალაქის იერსახის შენარჩუნება.

2.2.3 წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია(პროგრამული კოდი 03 02 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული წყალსადენის ქსელის რეაბილიტაცია-ექსპლუატაცია. გამგეობის შენობის წინ მდებარე აუზის რეაბილიტაცია.

2.2.4 პარკების სკვერებისა და მათი მიმდებარე ინფრასტრუქტურის მოწყობა (პროგრამული კოდი 03 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა, ფეხით მოსიარულეთა ტროტუარების მოწყობა, სადღესასწაულო დღეებისათვის ქალაქის გაფორმება, ახალი ხეების დარგვა და გამწვანების ზოლებში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება, არსებული შადრევნების ექსპლოატაცია და საჭიროების შემთხვევაში მათი რეაბილიტაცია.

2.2.5საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და ექსპერტიზის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 02 05) პროგრამის ფარგლებში განხორციელდება 2016 წელს შესასრულებელი სამუშაოების პროექტირებისა და შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზის ხარჯები. რაც განაპირობებს ხარისხიან ხარისხიანად კარგად შესრულებულ სამუშაოებს.

2.3სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში სანიაღვრე არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია, საკადასტრო რუკების მომზადება, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული პროექტები.

2.3.1 საკადასტრო რუკების მომზადება (პროგრამული კოდი 03 03) საკადასტრო ნახაზების ელექტრონული ვერსიების მომზადება.

2.3.2სანიაღვრე არხებისა და ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა-რეაბილიტაცია, (პროგრამული კოდი 03 04) პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სანიაღვრე არხების მოწყობა, ასევე წყალსაწრეტი არხები და ნაპირსამაგრი ჯებირების მოწყობა.

2.3.3კეთილმოწყობის ცენტრი. (პროგრამული კოდი 03 06) აღნიშნული პროგრამის მიხედვით შექმნილია კეთილმოწყობის ცენტრი რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: ქალაქის დაგვა-დასუფთავება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ნარჩენების გატანა, მწვანე საფარის მოვლა პატრონობა, გარე განათების სერვისის მოვლა, შადრევნებისა და აუზების, წყლის სისტემების გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფა, ტროტუარებისა და ბორდიურების კეთილმოწყობა, ქალაქის ტერიტორიის მოხეტიალე პირუტყვისაგან დაცვა. ქ. მარტვილის საბაგირო გზის მომსახურება. მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული სპეც. ტექნიკის გრეიდერის მოვლა-შენახვა და მუნიციპალიტეტის საჭიროებიდან გამომდინარე სამუშაოების შესრულება.

2.3.4 სპორტული მოედნების მოწყობა. (პროგრამული კოდი 03 07) პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით დაგეგმილია საფეხბურთო მოედნების მოწყობა.

2.3.5რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება. (პროგრამული კოდი 03 09) პროგრამის ფარგლებში მოხდება რეგიონული განვითარების ფონდის სახსრებით განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება.

2.3.6მუნიციპალური განვითარების ფონდის პროექტების თანადაფინანსება(პროგრამული კოდი 03 10) პროგრამის ფარგლებში მოხდება

მუნიციპალური განვითარების ფონდის განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება.

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მარტვილის მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსებასახსრებითა, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა.

3.1. სკოლამდელი განათლება (პროგრამული კოდი 04 01)

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 18 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 970 ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის ბავშვების კვების ხარჯების, მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს, ბაღების რეაბილიტაციისა და სხვა მიმდინარე ხარჯებს.

3.2 საჯარო სკოლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 02) პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საჯარო სკოლებისათვის ფინანსური დახმარების გაწევა (რეაბილიტაციის მიზნით).

3.3 შშმ ბავშვთა და მოზარდთა განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 04) პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია (შშმ ბავშვთა საკვირაო სკოლის თანადაფინანსება).

4. კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00) მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. ასევე ახალგაზრდობში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს.

4.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

